ხაშურის მოამბე

№14 (265) 28 ივლისი, სამშაბათი, 2020 წელი

საქართველოს მთავრობა ანტიკრიზისული ეკონომიკური მხარდაჭერის ღონისძიებების დამატებით პორტფელზე მუშაობას განაგრძობს

პრემიერ-მინისტრის დავალების შესაბამისად, კოვიდ-19-ის პანდემიის ნეგატიური ეკონომიკური შედეგების მინიმიზაციასა და დამატებით ანტიკრიზისულ ღონისძიებებზე საქართველოს მთავრობა აქტიურ მუშაობას განაგრძობს,- აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, გიორგი გახარიას ხელმძღვანელობით,მთავრობის ადმინისტრაციაში სამუშაო შეხვედრა გაიმართა, რომელშიც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ეკატერინე ტიკარაძე, ფინანსთა მინისტრი ივანე მაჭავარიანი, ბიზნესომბუდსმენი მიხეილ დაუშვილი, პრემიერ-მინისტრის მრჩეველი ეკონომიკურ საკითხებში ბექა ლილუაშვილი და ფინანსთა მინისტრის მოადგილე გიორგი კაკაურიძე მონაწილეობდნენ.

მთავრობის მიერ დამატებით შემუშავებული ანტიკრიზისული ღონისძიებები, რომელიც კიდევ უფრო შეამსუბუქებს ეკონომიკური კრიზისის ნეგატიურ შედეგებს და მეტად ორიენტირებული იქნება მოქალაქეების მხარდაჭერაზე, საზოგადოებას უახლოეს მომავალში წარედგინება.

შეხვედრისას,მთავრობის მეთაურს,სწორი მიზნობრიობების განსაზღვრის მიმართულებებით საკუთარი წინადადებები წარუდგინა ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა, ხოლო ქვეყანაში არსებული ფინანსური რესურსების შესახებ - ფინანსთა მინისტრმა.

აგრეთვე, განიხილეს ანტიკრიზისული ეკონომიკური გეგმით გათვალისწინებული სოციალური მხარდაჭერის ღონისძიებების მიმდინარეობა. ამ დროისათვის, სხვადასხვა სახის ფულადი კომპენსაცია სახელმწიფოსგან, ჯამში, 685 986-მა ადამიანმა მიიღო.

ალოობა-2020 5 აგვისტოს დასრულდება

5 აგვისტო-ესაა თარიღი, როდესაც ჩვენს მუნიციპალიტეტში ალოობა – 2020 უნდა დასრულდეს, თუ, რა თქმა უნდა, ამინდმა არ შეიტანა მცირე კორექტირება. როგორც ჩვენთან საუბარში სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხაშურის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა ჯემალ გელაშვილმა განაცხადა, დღეისათვის მუნიციპალიტეტში 11 კომბაინი მუშაობს, რომელთაც ორ დღეში კიდევ ხუთი დაემატება, რაც სრულიად საკმარისია, რომ ალოობა დაგეგმილ დღეებში დასრულდეს. რაც მთავარია, მოსავალი კარგია და მარცვალი მაღალი ხარისხისაა. დღეისათვის კი, 1560 ჰექტარი ხორბლიდან აღებულია 620 ჰექტარი, ქერი-290 ჰექტარი (320-დან) და შვრია 740 ჰექტარი (760-დან). ამ დროისათვის, რჩება წაღვლის ზონა, რადგან ეს მონაკვეთი მაღალმთიანია და მარცვლეულის მწიფობის ხანა შედარებით გვიან დგება. თუმცა, როგორც თავში აღვნიშნეთ, 5 აგვისტომდე ამ ზონაშიც დასრულდება ალოობა. რაც შეეხება საშუალო მოსავლიანობას, შედეგები ასეთია: ხორბალი-2,6 ტონა(ჰექტარზე), ქერი-2 ტონა და შვრია 1,5 ტონა, რაც ნორმალურ შედეგად ითვლება.

საბავშვო ბაღები - მიმდინარეობს მზადება ახალი სასწავლო წლისათვის

შექმნილმა ეპიდემიოლოგიურმა მდგომარეობამ, ნეგატიური გავლენა იქონია განათლების სისტემაზეც. ფორსმაჟორულ რეჟიმში გადავიდა სასწავლო პროცესი. ეს ცვლილებები შეეხო სააღმზრდელობლო დაწესებულებებსაც. ჩაშლილი სასწავლო პროცესის მიუხედავად, ბავშვებზე ზრუნვა არ შეწყვეტილა. თუ რა ღონისძიებები ტარდებოდა, ან რა სამომავლო პროგნოზები კეთდება, ამაზე, გვესაუბრება ა(ა)იპ "ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების საბავშვო ბაღების გაერთიანების" მმართველი **თათია ბროლიძე**

–დღეისათვის, ხაშურის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 18 საბავშვო ბაღი, საბავშვო ბაღებში 2020 წლის იანვრისათვის რეგისტრირებული იყო 2006 აღსაზრდელი.

საბავშვო ბაღებში მსოფლიოსა და ქვეყანაში კორონავირუსის პანდემიის ვითარების გათვალისწინებით, სწავლა შეწყვეტილი იქნა 2 მარტიდან და აღარ განახლებულა, სააღმზრდელო პროცესის შეწყვეტის შემდეგ, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში კორონავირუსის პრევენციის მიზნით, დამატებით ჩატარდა დეზინფექციის სამუშაოები და სველი წესით გენერალური დასუფთავება. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს , რომ საბავშვო ბაღებში დეზინფექციისა და დალაგება-დასუფთავების სამუშაოები სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტების შესაბამისად ისედაც სისტემატიურად ტარდება.

მუნიციპალიტეტის მერიასთან შეთანხმების საფუძველზე, მოხდა არამალფუჭებადი საკვები პროდუქტების გაცემა თითოეულ აღსაზრდელზე , ერთ ბავშვზე გაანგარიშებული დღიური ნორმის ფარგლებში, სასურსათე კალათის გაცემა მიმდინარეობდა სამ ეტაპად. განათლების სამინისტროს რეკომენდაციით, აპრილიდან ივნისის ჩათვლით, სასკოლო მზაობის ჯგუფებში აღმზრდელების მაქსიმალური ჩართულობით მიმდინარეობდა დისტანციური მუშაობა , შეძლებისდაგვარად, ამოიწურა პროგრამით გათვალისწინებული სააღმზრდელო საკითხები. 18 და 19 ივნისს, სპმთპ-ის საგანმანათლებლო განვითარების ცენტრის ხაშურის რაიონული ორგანიზაციის მიერ წარმატებით ჩატარდა ონლაინ ტრეინინგი „ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მართვა და ადმინისტრირება" ბაღების დირექტორებისთვის".

ამ ეტაპზე, მიმდინარეობს მზადება ახალი სასწავლო წლისათვის, ველოდებით დამატებით რეკომენდაციებს.

სურამში, ჭონქაძის ქუჩის რეაბილიტაცია მიმდინარეობს

ამ ეტაპზე იგება ასფალტის საფარის პირველი ფენა.

ჭონქაძის ქუჩის მოწყობის სამუშაოები 596 371 ლარს მოიცავს და ადგილობრივი ბიუჯეტისა და ცენტრალური მთავრობის თანადაფინანსებით ხორციელდება.

პროექტით გათვალისწინებულია მეორე ფენა ასფალტის საფარის დაგება და სანიაღვრე არხების მოწყობა.

ჭონქაძის ქუჩა მჭიდროდაა დასახლებული, შესაბამისად, განხორციელებული პროექტი 400-ზე მეტ ადგილობრივსა თუ დამსვენებელს გაუუმჯობესებს საყოფაცხოვრებო პირობებს.

დაბა სურამში, ჭონქაძის ქუჩის რეაბილიტაცია ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარებასაც.

ანზორ მაისურაძე, ფერმერი, რომელმაც ათეულობით მივიწყებულ ქართული ჯიშის მარცვლეულს სიცოცხლე შეუნარჩუნა

ქართველი კაცისთვის პური და ღვინო ქვეყნის სახეა, სიწმინდეა და სადიდებელი. არსად, არც ერთ ქვეყანას, არც ყურძნის და არც ხორბლის ისეთი ნაირსახეობები არ გააჩნია, როგორც ჩვენ. მეცნიერები აღარც დავობენ იმაზე, რომ უძველესი ხორბლის სამშობლო საქართველოა. დღეს, აქტიურად მიმდინარეობს ძველი, მივიწყებული ქართული ჯიშის ხორბლის პოპულარიზაცია და წარმოებაში დაბრუნება. საქართველოში სულ რამდენიმე ფერმერია, რომელიც ქართულ "დოლს" აწარმოებს. ანზორ მაისურაძე, სოფელ ნაბახტევის მცხოვრებია, პროფესიით ბიოლოგია და ერთ-ერთია, რომელმაც მივიწყებულ და თითქმის დაკარგულ ქართულ ჯიშებს სიცოცხლე დაუბრუნა. დღეს მისი კოლექცია 148 უნიკალურ სახეობას აერთიანებს. მიუხედავად დიდი გამოწვევებისა და

ცდუნებების, სოფელში დარჩა და აქტიურად დაიწყო ფიქრი და მუშაობა ქართული ხორბლის პოპულარიზაციისთვის.

–პროფესიით ბიოლოგი ვარ, სტუდენტობის პერიოდში ბიოლოგიურ მეცნიერებათა ასოციაცია "ელკანასთან" მქონდა აქტიური შეხება, რამაც სერიოზულად დამაფიქრა იმაზე, რომ ჩემი პროფესია და დამოკიდებულება მიწასთან, საქმიანობის სფეროდ მექცია. მიგრაცია ერთ-ერთი დიდი პრობლემაა სოფლისთვის, სახლები იკეტება და მიწა რჩება დაუმუშავებელი, ესეც იყო ერთ-ერთი განმაპირობებელი იმის, რომ სოფელში დავრჩი და სოფლის მეურნეობაში ჩავები.

- რატომ გადაწყვიტე აქცენტი ქართული ჯიშის ხორბლის წარმოებაზე გაგეკეთებინა?

–ოჯახში სამი ძმა ვართ, როგორც ყველას, ჩვენც სტანდარტულად 1, 25 ჰა მიწა გვერგო. 11 წლის წინ, ნანა ნემსაძის რჩევით, გადავწყვიტე ქართული ჯიშის დოლის პური დამეთესა ნახევარ ჰექტარზე. თესლი მხოლოდ 3 კგ მქონდა თავდაპირველად, ხუთი წლის შემდეგ, უკვე 1 ჰა-ზე დავთესე ჩემი თესლი. ნახევარი გავყიდე, ნახევარი სათესლე მასალად შევინახე. პარალელურად, ვეწეოდით კამპანიას, რომ როგორმე ინტერესი წამოსულიყო ქართული ჯიშების მიმართ. მცდელობამ გაამართლა. პირველ წელს 500 კგ ხორბალი გავყიდე, დღეს კი,13 წლის შემდეგ, უკვე 80 ტონა მაქვს. ნახევარი ჰექტრით დავიწყე და დღეს 55 ჰა მიწა მაქვს.

- რამდენად დიდია დღეს მოთხოვნა და როგორ შეიცვალა ამ კუთხით ვითარება ქართული ჯიშის ხორბალზე?

–ქართული "დოლი" ძალიან საინტერესოა როგორც ფინანსურად, ისე კვების კუთხით. 1 ჰა-ზე მომდის 2 ტონა ხორბალი, მისი საბაზრო ფასი ხუთჯერ აღემატება ჩვეულებრივ ხორბალს. ბაზარზე მოთხოვნილება იმდენად გაიზარდა, რომ მხოლოდ რამდენიმე თვე შემიძლია დავაკმაყოფილო მომხმარებლის მოთხოვნილება. რაც შეეხება გემოვნურ თვისებებს და შემცველობას, არიან ადამიანები, ვისაც ალერგიული ფონი აქვთ, მათ შეგვიძლია მივაწოდოთ დოლის პური, ხოლო თუ რთულ ფორმებშია, მას უკვე "სპელტა" მიეწოდება. "სპელტაზე" მოთხოვნა ძალიან დიდია და ეს ხაზი უნდა განვავითარო მომავალ წელს.

- რამდენად ადვილად ერგება გარემო-პირობებს, რაიმე განსაკუთრებული ხელშეწყობა ჭირდება?

–ზომიერ სარტყელში ვართ, სადაც ძალიან კარგად გრძნობს თავს. ქართული "დოლი" არის უნიკალური, თავს ძალიან კარგად გრძნობს, როგორც ტუტე, ის მჟავა გარემოში. კოლხური „ასლი" დასავლეთ საქართველოში იყო გავრცელებული და მისი ფორმა დატანილია მედეას დროის მონეტებზე. ჩვენი წინაპრები მას ამუშავებდნენ კავით, რომელიც სიღრმეში მხოლოდ 15 სანტიმეტრზე ხნავს, ამ პირობებში, როცა გამარტივებული და მექანიზებულია ხვნა-თესვა, ძალიან კარგად გრძნობს თავს, 2 ტონა ნებისმიერ პირობებში მოდის. ეს არის ბიოწარმოება, ერთადერთი დანამატი, რასაც ვიყენებ, "ბიო აგროს" "ორგანიკაა", ნიადაგზე და მწვანეზე ვასხურებთ, რომ ნიადაგში გავაჩინოთ ბიოფლორა.

- რა რაოდენობის „დოლი" მიაწოდეთ წელს ბაზარს და სხვა ქართულ ჯიშებზეც მოგვიყევით...

–"დოლი" მარტო თესლად გავყიდე 8 ტონა. ახლა დავიწყეთ ახალი ჯიშების, "თეთრი დიკას" და "შავფხას" აღორძინება. 3000 და 4000 წლის ხორბლის სახეობები მაქვს.დედამიწაზე ხორბლის პირველი სახეობა არის „მახა", ღვინოზე ძველია, კავთისხევში, გათხრების დროს აღმოჩენილია ძველი საცავი, სადაც აღმოჩენილია "მახას" ქრომოსომი,, დედამიწაზე, ველური ხორბლის შემდეგ, ერთ-ერთი კულტურული ხორბალია „მახა". დედამიწაზე არის 27 სხვადასხვა თავდაპირველი ჯიშები, საიდანაც 14 ქართულია.

- როგორც ვიცი, ქართული ხორბლის უნიკალური გენოფონდი გაქვთ, რომელიც 148 სახეობას მოიცავს.

-ერთ-ერთი დიდი კოლექცია მაქვს საქართველოში, რომელიც 148 ქართული ხორბლის სახეცვლილებას აერთიანებს. აქედან, 4 ენდემური ჯიშია. მათ შორის არის, მახა, ზანდური, მონოკოკუმი, დიკოკუმი, ჩელტა ზანდური. ზანდური კოლხურ მიწას ნიშნავს და სუფთა ქართულია. 4 ჯიში ჩამოვიდა ერდოღანის ეზოდან, სადაც დღესაც არის ქართული ჯიშის ხორბლები შემორჩენილი, ჩამოგვივიდა შავშურა, კვიტა, წმინდა და ხახული. ძველ, დაკარგულ ტერიტორიაზე მოძიებული ჯიშებია. კოლექციაში ასევე მაქვს შავი ქერი, რომელიც დედამიწაზ არსად არაა. მთის წინებზე, როცა თოვლის აღება იწყებოდა, ამოსვლიდან 45 დღეში უკვე მოსამკელია.

- როგორ მოხვდა ეს კოლექცია თქვენთან?

–მე მქონდა 40 სახეობის ხორბალი თავდაპირველად. გარდაიცვალა პეტრე ნასყიდაშვილი, მეხორბლეობის მამად წოდებული, მისი უნიკალური კოლექცია, სადღაც ფერმაში დააბინავეს, ოთხი წლის შემდეგ, ერთ-ერთმა ჟურნალისტმა შემომთავაზა, წამომეღო და მეპატრონა. უნიკალური გენოფონდი, განადგურების პირას იყო. დიდი შრომის ფასად გადავარჩინე კოლექცია. კრეფის დროს, ინდივიდუალურად ვინახავ ყველა სახეობას. მეცნიერებათა აკადემიამ გამოთქვა სურვილი, რომ გაკეთდეს ჩემი სტენდი, სადაც წარმოვადგენ კოლექციის ნაწილს.

- 48 სახეობიდან, წარმოებაში რამდენი ჯიში გაქვთ?

–ყველას აინტერესებს, მაქვს თუ არა საკოლექციო ჯიშები წარმოებაში. მაგრამ ამ ეტაპზე წარმოებაში მხოლოდ რამდენიმე ჯიში მაქვს. "ასლის" ჯიშის მხოლოდ ექვსი მარცვალი მქონდა წლების წინ, დღეს 2 ჰა მითესია, ასე მქონდა "ცულისპირა", რომელიც ცილოვანი პროდუქტია და პარკოსნებს განეკუთვნება, ლობიოს შემოსვლამდე, მას იყენებდა ჩვენი წინაპარი საკვებად. შვიდი მარცვლიდან დავიწყე გამრავლება, არც ვიცოდი, რა იყო, მივაკვლიეთ და აღმოჩნდა უძველესი სახეობა..

კოლექციის სახეობები ეტაპობრივად გადმოდის წარმოებაში, მაგალითად, „ასლი" გადმოვიდა წარმოებაში, ესაა ერთ-ერთი უვნებელი მარცვლოვანი კულტურა, რომელსაც ცილის მაღალი შემცველობა აქვს. ასეთია შავფხა, რომელიც სამაკარონე სახეობაა და წებოვანას მაღალი შემცველობით ხასიათდება. აწარმოებდნენ ძირითადად მესხეთში, ამზადებდნენ სხვადასხვა სახეობის საკვებს, რომელიც ხასიათდებოდა მაღალკალორიულობით და ომშიც კი მიქონდათ მებრძოლებს. ყველაზე დიდი მოთხოვნილება არის მაინც ქართულ „დოლზე". საინტერესოა განვითარების დინამიკა, თავდაპირველად მქონდა 0, 5 ჰა მიწა, ახლა მაქვს 55 ჰა, პირველად გავყიდე 500 კგ, ახლა 80 ტ. დოლის პური შედარებით გვიან შემოდის, რადგან გაცილებით გრძელი ციკლის მატარებელია, თუ ჩვეულებრივი ჯიშის ხორბალი 280 დღის სითბურ საათს იგროვებს, ეს სახეობა ბევრად მეტს საჭიროებს მზის ენერგიას.

მოთხოვნა ძალიან დიდია, რადგან განსაკუთრებულ მოვლას და პირობებს არ საჭიროებს და როგორც აღვნიშნე, უნიკალური თვისებებითაც ხასიათდება. ორი საწყობი მაქვს, რომელიც პროექტის ფარგლებში გავაკეთე და იქვე ვახდენ დასაწყობებას.. ჩვენი წინაპარი ორმოში ინახავდა ხორბალს. თუ შემთხვევით წყალი ჩავიდოდა ორმოში, სველ, გაღივებულ მარცვალსაც თავის გამოყენებას უძებნიდა.

- ვინ არიან ძირითადად მომხმარებლები

–თბილისში ხშირად ვმართავთ გამოფენა-გაყიდვას, სადაც დაინტერესებულ ადამიანებს ვაცნობთ ჩვენს პროდუქციას. დაახლოებით 12 საცხობია საქართველოში, რომელიც ბიოპურს აცხობს, მაგრამ იმდენად ძვირადღირებულია, ქსელში არცაა ჩაშვებული, ემსახურებიან მაღალი კლასის რესტორნებს და სასტუმროებს. "აჭარისა"და "რუმსის" ჯგუფის სასტუმროების ქსელს ვამარაგებთ. როგორც აღვნიშნე, გამომცხვარი პურის ღირებულება საკმაოდ მაღალია, 1 კგ გამომცხვარი პურის ფასი 22 ლარიდან იწყება. უნდა აღვნიშნო ის ფაქტი, რომ შექმნილი ეპიდ. სიტუაციის გამო, ხორბლის ღირებულება დავწიე, რომ მწარმოებლებს გაუადვილდეთ წარმოება.

წინ დიდი გეგმები აქვს, მაგრამ ხმამაღლა საუბარი არ უყვარს. იმ საქმეს აკეთებს, რომელიც უყვარს და რომელიც ქართულია. ძალიან უხარია, რომ ქართული ხორბლის წარმოების მიმართ, ყოველწლიურად იზრდება ინტერესი, რომ აქტიურად ხდება პოპულარიზაცია და ამაში, მისი წვლილიც არც თუ ისე მცირეა.

თ. ჯავახიშვილი

ილიას სამართლებრივი აზროვნება მსაცვრელ შემოქმედებასა და პუბლიცისტიკაში

(ნაშრომი ეძღვნება ილიას 180 წლის იუბილეს)

ილია ჭავჭავაძე ქართველი კაცის ცნობიერებაში ასოცირდება ერის მამად, ეროვნულ გმირად, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სულის ჩამდგმელად მე-19 საუკუნეში, დაბოლოს დიდ ქართველად და მამულიშვილად. მის შრომებში თავმოყრილია შეხედულებები ლიბერალიზმზე, ისტორიულ მემკვიდრეობასა და ეროვნულ ღირებულებებზე, ერსა და სახელმწიფოზე, თვითმმართველობაზე, რელიგიაზე, პოლიტიკურ სისტემებზე, განათლებაზე, მეცნიერებასა და კულტურაზე, საბაზრო ეკონომიკასა და სოციალურ პრობლემებზე, კერძო საკუთრებაზე, დემოკრატიასა და არჩევნებზე და ბოლოს, სიკვდილით დასჯაზე. თქვენი ყურადღება მინდა მივაბყროთ ილიას სამართლებრივ აზროვნებაზე. ამ მიმართულებით ილიას ფენომენის მკვლევარებს არაფერი დაუწერიათ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ პროფესორ ოთარ გამყრელიძის ნაშრომს "ილია სამართლებრივი ნიჰილიზმის წინააღმდეგ". ილიას სამართლებრივი შეხედულებები ჩამოყალიბებული რომ ექნებოდა, ეს გასაკვირიც არ უნდა იყოს, რადგან ილია ჭავჭავაძე პეტერბურგის უნივერსიტეტში ოთხი წლის განმავლობაში სწავლობდა იურიდიულ ფაკულტეტზე, ეუფლებოდა ევროპის სამართლებრივი აზროვნების ფილოსოფიას და აყალიბებდა საკუთარ შეხედულებებს სამართლის საკითხებთან დაკავშირებით. პროფესორი ოთარ გამყრელიძე წერდა „ხალხს, რომელიც მოწოდებულია, რომ ნამდვილი თანამედროვე კულტურული ცხოვრება შექმნას და ამით ცივილიზებულ, მაღალგანვითარებულ ერთა შორის ჩადგეს, კარგად უნდა ჰქონდეს შეგნებული სამართლის მნიშვნელობა საზოგადოებრივი ცხოვრების წარმატებისათვის და ნიადაგ უნდა ზრუნავდეს, გამუდმებით უნდა ესწრაფვოდეს თავისი ცხოვრების დემოკრატიზაციას" . დემოკრატიზაციის მთავარი პრინციპი ადამიანის თავისუფლებაა, ადამიანთა თანასწორობაა. ილია ამბობდა „ერთი დიდი სახელოვანი საქმე მე-19 საუკუნისა, სხვათა შორის ის არის, რომ მაგარს საფუძველზე დააყენა და ფრთა გააშლევინა იმ კაცთმოყვარულ მოძღვრებას, რომ ყოველი ადამიანი, რა წოდებათა კიბის საფეხურზედაც გინდ იდგეს, მაინც ადამიანია, და ვითარცა ადამიანი – ყველასათან თანასწორად შესაწყნარებელი და გულშემატკივარია".

ილია სოციალური წარმოშობის მქონე წოდებათა შორის დაპირისპირებას ერის დამღუპველ საქმედ აფასებს. იგი ქადაგებს კლასთა შერიგებას და მათი უფლებების გათანაბრებას. „ქვეყანაზე მარტო იმ ერს გაუძლია, იმ ერს გამოუტანია თავი ათასგვარი განსაცდელისაგან, მარტო იმ ერს წარუმატნია, რომელსაც თავის დროზე შეუტყვია და მიუგნია, რომ ერთ რომელსამე წოდების წინ წამოწევა არაფნის მაქნისია, თუ დანარჩენი ერიც წინ არ წაწეულა. პირიქით, ერთის წოდების წინ წაწევას დანარჩენის უკან დაწევა მოჰყოლია" .

ამრიგად ილიას აზრით საზოგადოების კლასებად დაყოფას, ერთი კლასისათვის უპირატესობის მინიჭებას შედეგად ყოველთვის მოჰყოლია სხვა კლასის წარმომადგენელთა უფლებების შეზღუდვა, რაც ბუნებით სამართალთან წინააღმდეგობაში მოდის. საზოგადოების კლასებად დაყოფას ყოველთვის საფუძველი ყოფილა ანტაგონიზმისა, კლასობრივ-წოდებრივი ბრძოლისა. მის ნათელ მ,აგალითს ხატოვნად გადმოგვცემს ილია პოემაში „რამდენილე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან". როგორც ჩანს ილიას ადამიანის თავისუფლებასა და თანასწორობაზე საფუძვლები შოთა რუსთაველიდან აუღია. დასახელებულ პოემას წინ უძღვის რუსთაველის სტრიქონები.

„მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები,
მიღვწიან, მომიგონებენ, დამლოცვენ მოვეგონები."

არ შეიძლება ყურადღება არ მივაპყროთ ილიას შეხედულებებს, რომელიც ადამიანთა უფლება-მოვალეობებს შეეხება. „რაც უნდა მდიდარი ქვეყანა იყოს ბუნებით, -წერდა ილია, -თუ იქ ჩემი და შენი, ე.ი. კაცთა უფლება და მოვალეობა ძნელად გასარჩევია და არ არის საყოველთაოდ განსაზღვრული ცხადად და უცილოდ, იმ ხალხის წარმატება და კეთილდღეობა, თუ ყოველდღე უკან არ იწევს, შეუფერხებელი ხომ არის და არის!"... .

ქვეყნის მდიდარი რესურსები ქვეყნის განვითარებას ხელს ვერ შეუწყობს, თუ არ იქნება სამრთალი საზოგადოებრივი ცხოვრების ავანგარდი. სამართლებრივი აზროვნება, რომელიც ილიას ჩამოუყალიბდა, სათავეს შუასაუკუნეებიდან იღებს. მაზე ნათლად მეტყველებს რუსთაველის ასეთი აფორიზმი „ქმნა მართლისა სამართლისა, ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად". რუსთაველი „მართალ სამართალს" ანიჭებს რაღაც მაგიურ ძალას, რომელსაც შეუძლია ხმელი ხე ნედლად აქციოს.

სამართლის მნიშვნელობაზე საუბრობს ვახტანგ მეექვსე, რომლის მიერ შედგენილ სამართლუის წიგნში ვკითხულობთ „უსამართლობამ სოფელს კაცსა უძეოდ აღმოფხვრის და გარდაავლინებს, დღეთსიგრძეობასა მოაკლებს, ქვეყანას აუოხრებს, ამ სოფელს შეარცხვენს და იმ სოფელს წარწყმედს და საუკუნო სატანჯველს დაუმკვიდრებს. სენი ყველაყა უსამართლობისაგან გამოვლენ და სამართლის ქმნა მეფესა და მსაჯულისა ამა ყოვლის ბოროტისაგან შორედ ჰყოფს და განდევნის".

როგორც ჩანს, ვახტანგ მეექვსის აზრით, მეფესა და მსაჯულს ევალებათ სამართლის ქმნა, რათა თავიდან ავიცილოთუსამართლობისაგან გამომდინარე ყველა უარყოფითი შედეგი. ასეთი სამართლებრივი აზროვნება იყო დამკვიდრებული საქართველოში მე-19 საუკუნის ბოლომდე და სწორედ ამის გამოძახილია აღწერილი ილიას სიტყვებში.

არ შეიძლება აქვე არ ვისაუბროთ „ილიას საარჩევნო კანონმდებლობის სრულყოფისა და ელექტორატის გაფართოების პროცესის შესახებ".

საყოველთაო საარჩევნო უფლება მე-19 საუკუნის მსოფლიოში ჯერ კიდევ დაუხვეწავი იყო. განვიხილოთ რამდენიმე ქვეყნის საარჩევნო სისტემები და გადავხედოთ, რა მდგომარეობაა ამ მიმართულებით რუსეთის იმპერიაში.

ნიდერლანდებში არჩევნებში მონაწილეობის უფლება ყველა მამაკაცს 1917 წლიდან მიეცა, ხოლო ქალებს 1919 წლიდან.

აშშ-ში ქალებმა არჩევნებში მონაწილეობის უფლება – 1918 წელს მიიღეს, საფრანგეთში – 1944 წლიდან, იტალიაში - 1945 წლიდან, საბერძნეთში – 1956 წლიდან, შვეიცარიაში – 1971 წლიდან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შავკანიანმა მოსახლეობამ აშშ-ში არჩევნებში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს 1960 წლიდან, ხოლო ზოგიერთ

შტატში 1970 წლიდან.

ილია ამომრჩეველთა სფეროს გაფართოებისა და დემოკრატიული საარჩევნო სისტემების დამკვიდრების აქტიური მხარდამჭერი იყო.

ილია ამბობდა „ხმა და არჩევანის უფლება მინიჭებული უნდა ჰქონდეს ყოველს ადგილობრივს მცხოვრებსა, რაკი სრულწლოვანია. მაშასადამე, ყოვლს მცხოვრებს ყოველს მოღვაწეობაშიც ხვედრი წილი უნდა მიუძღოდეს" .

ილიამ გაილაშქრა ისეთი სასჯელის გაუქმების წინააღმდეგ როგორიც იყო სიკვდილით დასჯა. ილია გამოდის სიკვდილის დასჯის წინააღმდეგ, რასაც წინ უძღოდა რუსეთის იმპერიაში გატარებული რეფორმები. მოკლე ისტორიული მიმოხილვა გავაკეთოთ მე-19 საუკუნეში მიმდინარე პროცესების შესახებ. ალექსანდრე პირველის დროს, 1810 წელს შეიქმნა სახელმწიფო საბჭო. იგი წარმოადგენდა იმპერიის სათათბირო ორგანოს. მისი ფუნქცია იყო იმპერატორის წინაშე დასამტკიცებლად წარსადგენი კანონპროექტების განხილვა. 1906 წელს 9 მარტს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საგანგებო კრება ილიას ირჩევს სახელმწიფო საბჭოს წევრთა ამომრჩევლად, ხოლო პეტერბურგში ჩასულ ილიას 8 აპრილს სახელმწიფო საბჭოს წევრად, საქართველოს თავადაზნაურობის წარმომადგენლად ირჩევენ. ამ დროს რუსეთის იმპერიის სახელმწიფო საბჭოში ბევრ სხვა დემოკრატიულ კანონპროექტებთან ერთად, სიკვდილის დასჯის აკრძალვის შესახებ დაიწყო მუშაობა, რომელიც უმნიშვნელოვანესი ჰუმანიტარული აქტი იყო. ეს მოთხოვნა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო საქართველოსთვის, რადგან რევოლუციური აქტიურობით საქართველო გამოირჩეოდა და სასჯელიც შესაბამისი იყო. საქართველოში განხორციელებული სასიკვდილო განაჩენები, მართალია დიდს არა, მაგრამ მცირე ზიანს აყენებდა ჩვენი ქვეყნის დემოგრაფიულ ფონდს. მართალია ილიას გამოსვლის ოფიციალური ტექსტი არაა შემონახული ოფიციალურ დოკუმენტებში, მაგრამ ამ ფაქტს ადასტურებენ ოფიციალური პირები. ბოლქვაძე იგონებს ილის სიტყვებს „ბუშინ საღამოს დავასრულე ჩემი მოხსენება სიკვდილით დასჯის შესახებ. ამ დღეებში წავუკითხავ ჩვენს წრეს, მერე კი სახელმწიფო საბჭოს". მ. კოვალევსკი აცხადებდა „პროფესორ ტაგანცევთან ერთად ... თავადი ჭავჭავაძეც სიკვდილით დასჯის გაუქმების მოთხოვნით გამოვიდა". 1906 წლის 19 ივნიის სახელმწიფო სათათბირომ მიიღო კანონპროექტი სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ და პროცედურის დაცვით გადაუგზავნა სახელმწიფო საბჭოს დასამტკიცებლად.

გასული საუკუნის 90-იან წლებში საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, ილიას იდეებმა ხორცშესხმა დაიწყო. 1995 წლის 24 აგვისტოს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ქვეყნის ძირითადი კანონი- კონსტიტუცია. კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი შინაარსით:

- სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება – სიკვდილით დასჯა გამოიყენება სიცოცხლის წინააღმდეგ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მის სრულ გაუქმებამდე.

1996 წლის მიწურულს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ სიკვდილით დასჯაზე მორატორიუმი გამოაცხადა. 1997 წლის 11 ნოემბერს პარლამენტმა საბოლოოდ გააუქმა სიკვდილით დასჯა. კონსტიტუციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტში გაჩნდა ჩანაწერები - სიკვდილის დასჯა აკრძალულია. ასე, რომ ილიას იდეამ სიკვდილის დასჯის გამოყენების გაუქმების მოთხოვნამ ხორცი შეისხა 90 წლის შემდეგ.

მალხაზ ლომსაძე, სამართლის დოქტორი, პროფესორი

ხაშურის მუნიციპალიტეტის საფორტიფიკაციო ნაგებობები

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ 2019 წ. №41,42,44,45,46,47. 2020 წ. №2,3,4,5,6,7,8,9,11,12,13)

კოშკის ჩრდილო-დასავლეთ კუთხესთან შემორჩენილია ადრე აქ არსებული ბაქნის საყრდენი კედლის ნაწილი.

კოშკის სიახლოვეს ეკლესიაა. კოშკის მიდამოებში ჩანს გაურკვეველი ნაგებობების კვალი მიგვანიშნებენ მარანზეც.

ფერიცვალების კოშკიდან 2 კილომეტრში მდებარეობს ბულბულისციხის ციხე.

ბულბულისციხის ძველი სახელწოდება ციხისძირია. „ქვიშხეთს ზეით, შოლაზედ არს ციხისძირის ციხე“.

ბულბულისციხის სახელწოდების შესახებ გამოთქმულია მოსაზრება, რომ იგი უნდა მომდინარეობდეს ბუნბულისძეთა გვარიდან. დოკუმენტში „მცხეთის ეკლესიისა და საქონელნი და სამწყსონი სამცხეს“, რომელიც 1515 წლის ახლო პერიოდით თარიღდება, მოიხსენიება ბუნბულისძეთა ფეოდალური საგვარეულო, რომელთა სამფლობელოები გ. ზედგენიძის აზრით აღმოსავლეთით ქვიშხეთამდე იყო გავრცელებული. შეუძლებელია მტკიცება, რომ ამ გვარიდან მომდინარეობს სოფლის დრევანდელი სახელწოდება, სხვა რაიმე ხელშესახები საბუთი არ გაგვაჩნია, გარდა სახელთა მსგავსებისა.

ბულბულისციხის აგების დრო ცნობილი არ არის. აქ ციხე განვითარებული ფეოდალური ხანიდან უნდა ყოფილიყო, როცა ქვიშხეთ ბულბულისციხეზე - იმერეთისაკენ (დასავლეთ საქართველოსაკენ) მიმავალი გზა ინტენსიურად გამოიყენებოდა სხვა გზებთან ერთად. საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლის შემდეგ, XV საუკუნიდან, აქ ციხის არსებობა ეჭვს აღარ იწვევს. ქართლის სამეფო ირანის, ხოლო იმერეთის სამეფო ოსმალეთის გავლენის ქვეშ აღმოჩნდნენ. ირანი და ოსმალეთი კი დაპირისპირებული სახელმწიფოები იყვნენ და ქართლიდან იმერეთში გადასასვლელი ერთ-ერთი ძველთაძველი გზის ჩაკეტვა ციხით აუცილებელი იქნებოდა, რადგან იგი (გზა) მარტო სავაჭრო-ეკონომიკური მიზნებით აღარ გამოიყენებოდა, გარკვეულ პოლიტიკურ დატვირთვასაც იძენდა. გზა ხდებოდა დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის და ამით უნდა ყოფილიყო აქ ციხის არსებობა განპირობებული.

ბულბულისციხისციხე სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია ქვიშხეთის ციხის სახელწოდებითაც. ამ ციხეს ფლობდნენ ქართლის(ქვიშხეთელი) აბაშიძეები, ხოლო XVIII საუკუნის დასაწყისიდან იმერეთიდან გადმოსული აბაშიძეების ხელშია.

ციხე მდებარეობს სოფლიდან სამხრეთ დასავლეთით, 1,5 კილომეტრში. აგებულია ლიხის ქედის აღმოსავლეთ კალთაზე, მდინარე შოლასა და წიქარიშვილების (იგივე ორჯამიანას) ღელეს შორის აღმართულ მაღალ კლდოვან გორაზე. ციხე ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის მხრიდან მიუვალია. ამ მხარეს კედლები 20-25 მეტრის სიმაღლის შვეულ კლდეზეა ამოყვანილი. სამხრეთის მხრიდან საკმაოდ დამრეცია ფერდობი, რომელიც ციხის კედლით მთავრდება. რაც შეეხება დასავლეთის მხარეს, ერწყმის ქედს და ციხეში მოხვედრა უფრო ადვილად სწორედ ამ მხრიდანაა შესაძლებელი.

ციხე ნაგებია რიყის ქვით. კედლების სისქე ზედა ნაწილში 1,2 მეტრს, ხოლო ქვედაში 2 მეტრს უდრის. ძლიერ დაზიანებულია. ჩრდილოეთის და აღმოსავლეთის კედლები დანგრეულია. შემორჩენილია ნახევარწრიული გოდოლის ნაშთი დასავლეთ ნაწილში და სამხრეთის სათოფურებიანი კედელი. ამ კედლის სიმაღლე 5 მეტრია, ხოლო სიგრძე 35 მეტრი, სამხრეთის კედელზე კარგად ჩანს თანაბარი ინტერვალით დაშორებული ნახევარწრიული ბურჯები, რომლითაც შემაგრებული იყო კედელი.

ციხეს შესასვლელი სამხრეთიდან აქვს. გადმოცემით ციხეში მოხვედრა შეიძლებოდა გვირაბითაც, რომელიც ერთი კილომეტრიდან იწყებოდა. ეს საიდუმლო კარი იყო.

აღმოსავლეთის კედელში მთელ სიგრძეზე გაყვანილია გვირაბი.

ციხეში წყალი შეყვანილი ყოფილა ცივწყაროდან, საიდანაც იწყება მდინარე შოლა. ციხის შიგნით დღესაც კარგადაა შემონახული წყლის შესანახი ორი აუზი. წყალი ერთი აუზიდან მეორეში გადადიოდა და ორივე ივსებოდა.

ციხის მნიშვნელობა განსაკუთრებით გაიზარდა XVIII საუკუნის 20-იანი წლებიდან, როცა მის რეგიონში და მომიჯნავე ადგილებში გავრცელდა ლეკთა თავდასხმები. ხალხში გავრცელებული გადმოცემით ლეკები ბულბულის ციხიდან მის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე მთაზე ადიოდნენ, რომელსაც კორღანოს ეძახიან. იქიდან გადადიოდნენ მთაწმინდაზე და შემდეგ მიემართებოდნენ ბორჯომისაკენ. ლეკები, ქართველ ტყვეებთან ერთად, ბორჯომში, გოგიას ციხეში ათევდნენ ღამეს, შემდეგ კი ახალციხის გზით მიჰყავდათ ისინი თურქეთში და ყიდნენ.

ხალხში გავრცელებული ერთ-ერთი ლეგენდის თანახმად, ციხის სახელწოდება სწორედ ლეკების წინააღმდეგ მებრძოლი გმირი ქალის - ბულბულას სახელს უკავშირდება. შემდეგ სოფელსაც მისი სახელი დარქმევია.

ლეგენდა მოგვითხრობს:

ოჯახში, რომელშიაც ბულბულა დაიბადა და აღიზარდა, კეთილშობილება, შრომისმოყვარეობა და მიწა-წყლის სიყვარული სუფევდა. ამავე ღირსებებით გამოირჩეოდა ბულბულაც. ის გარეგნობით მეტად ლამაზი და მიმზიდველი ქალი ყოფილა. მას თამარ მეფეს ადარებდნენო. ბულბულა ამავე დროს, კარგი მოცეკვავე და მომღერალიც იყო და ხალხი თურმე ამბობდა, სახელი ბულბულა მოხდენილადაა მისთვის შერჩეულიო.

ერთხელ ლეკთა შემოსევის დროს, ქართველთა რაზმს ბულბულა ხელმძღვანელობდა. ხალხი სურსათ-სანოვაგით ციხეში შევიდა. მტერმა ციხე ვერ აიღო და ვერც საიდუმლო შესასვლელი ნახა. წყალსადენის მოსაძებნად დაიჭირეს სახედარი. აჭამეს მარილი, მოაწყურეს, ციხის გარშემო რამდენჯერმე შემოატარეს, სახედარი იქ უნდა გაჩერებულიყო სადაც წყალი ნიადაგში გადიოდა. ასეც მოხდა. მტერმა წყლის მილები ამოყარა და ციხეში წყალი შეწყდა. საჭირო იყო მისი აღდგენა. ეს საქმე ბულბულამ იკისრა, საიდუმლო გზით გავიდა ციხიდან წყლის მილების შესაკეთებლად. ამ დროს ის ლეკებმა შეიპყრეს და უთხრეს: - გვასწავლე ციხეში შესასვლელი გზა, შენ ცოცხალს დაგტოვებთ და არც ტყვედ წაგიყვანთო. ბულბულამ შორიდან მისასვლელი ასწავლა, საიდანაც გზა არ შედიოდა ციხეში და მტერი ციხეს დიდი მანძილით მოშორდებოდა! ამ დროს ბულბულამ შეაკეთა მილები და ციხისკენ გაიქცა საიდუმლო გზით. ბულბულას თურმე ლეკების ნაწილი უთვალთვალებდა და ციხეში შეყვა. გაჩაღდა ხელჩართული ბრძოლა. ზოგი ქართველი დანებდა მტერს, ზოგი, ბულბულას მეთაურობით – არა. „ჩვენი მიწა-წყლისთვის დავიხოცებით და არ დაგნებდებითო,“ - შეჰკივლა თურმე ბულბულამ. მრავალრიცხოვანმა მტერმა სძლია ქართველებს: ბულბულა ნაკუწ-ნაკუწად აქციეს, ბევრი სხვაც დახოცეს, ბევრი კიდევ ტყვედ წაიყვანეს. ამ დროიდან ციხეს და სოფელს „ბულბულისციხე“ უწოდეს.

აღნიშნულ ლეგენდას ისტორიული სინამდვილე უდევს საფუძვლად. ისტორიის ფურცლებმა შემოგვინახა არაერთი ეპიზოდი ლეკების წინააღმდეგ ქვიშხეთის, ტეზრის, ბულბულისციხის, ვახანის, ნუნისისა და სხვა სოფლების მოსახლეობის გმირული ბრძოლის შესახებ. ასე მაგალითად: 1731 წლის ივლისში „...მიუხდნენ ლეკნი ჯავახეთს, ააოხრეს ხეობა, ზანავი, გარდავიდენ მთასა ნუნისისასა, აოხრეს ხარაგეული ნუნის ქვეითი, გარდმოიარეს ქვიშხეთს, **წაახდინეს ციხის ძირი**, ააოხრეს საციციანო. კიდევ მეორეთ გარდმოიპარნენ მთას იქით, დაწვეს მზვარე და ჩრდილი, იშოვეს მრავალი; შეიყარნენ მთას იქით კაცნი სააბაშიო და საჩხეიძო, უყვეს წინა უკანა, შეექნათ ცემა, ამოწყვიტეს ლეკნი, დააყრევინეს ნაშოვარი, ვინც მორჩა დაიფანტნენ მთაში, გზისაგან უცოდინარი, რომელიც ქართლში გარდმოვიდნენ ყველა დაიჭირეს და ამოსწყვიტეს“.

XVIII საუკუნის 30-იანი წლების მეორე ნახევარში ბულბულისციხე ირანელების ყურადღების არეალში ექცევა.

1734 წელს ქართველებმა ირანის დახმარებით ოსმალები განდევნეს ქართლიდან, ეგონათ ქვეყანა გაათავისუფლეს, რომ ეხლა ირანელებმა დაიწყეს ქართლში გაბატონება და პოზიციების განმტკიცება. ამ ფაქტს ვერ ეგუებოდა ქართველი ხალხი და აჯანყდნენ. აჯანყებულთა რიგებში იდგა ქართლის აბაშიძეთა სახლის მეთაური ვახუშტი აბაშიძეც.

1736 წელს ირანის შაჰმა თამაზ-ხანმა ქართლს დიდი გადასახადი („სამი ათას სამასი თუმანი“) შეაწერა. ქართველებმა ამ თანხის გადახდა ვერ შეძლეს და შანშე ქსნის ერისთავი, გივი ამილახვარი, ვახუშტი აბაშიძე და „სულ ზემო ქართლი“, და თარხნიშვილები ყიზილბაშებს განუდგნენ. განდგომილები სეფი-ხანს ეხვეწებოდნენ: „როგორც სხვის ყენილსათვის გვიმსახურებია, ან სამსახური გვდებია, ისე გვიმსახურეთ, ხელმწიფის დიდი ხნის ყმანი ვართო“.

სეფი-ხანმა ქართველი დიდებულების თხოვნა არ მიიღო („ეს იმათ არა ჰქნეს“).

ქართველ დიდებულებს ჩამოსცილდნენ ბარძიმ არაგვის ერისთავი, ციციშვილები, ბარათაშვილები და ყიზილბაშების მხარეს გადავიდნენ.

ყიზილბაშთა ლაშქარი სოფელ ფხვენისში დადგა და „იწყეს იქიდამ თარეშის გასევა“. თუმცა რამდენჯერაც მიუხდნენ ქსნის ერისთავს და გივი ამილახვარს, ყოველთვის დამარცხდნენ.

„ამაში გამოუსია თარეში, მუხდნენ დილაბანდზე სააბაშიოს და საჩხეიძოსა და სურამის ხეობასა, ბევრი წაახდინეს და დაწვეს საფალავანდისშვილო და გამოყოლება ააოხრეს, დაწვეს, სადაც სიმაგრე იყო ღუთით ვერა ავნეს“.

1736 წლის 2 ივლისს „...რიურაჟზედ შეუტყობლად მოვიდა ჯარი ათასი კაცი. თითვან სულთანი, აბდულ-ბეგ, ვინცა-ვინ ქართველნი იმათთან იყო ციხის ძირს, დაუწყეს ბრძოლა და გართ მოვიდნენ, ნუნის ჩამოვიდნენ, თარეში ჩრდილსა იდგა, აბაშიძე ვახუშტი ვახანს; რა მოვიდა ამბავი, იარა და შემოეყარა თავისი საყმო, შეიქნა სროლა, ბრძანებითა ღუთისათა, ნუნისა ღუთისმშობელის ძლიერებითა, გაიქცნენ და მოსწყდა მრავალი სული, ჩაყუნენ ციხის ძირამდის ცემითა და ხოცითა. ამისთანა გამარჯვება ერთსა და ორს არავის უნახავსო, თან პირ-იქითი ჯარი, თქვენმა მზემა, სხვას გარდა ორასი ასეთი ცხენი შეკაზმულობითა, ზოგი ვერცხლის რახტითა აბაშიძეს მოართვეს. სხვა რაც ვინმე დამალა, ის ღმერთმა იცის. ასე ღმერთმან წყალობა მოუვლინა, ერთი კაცია არ მოკდომია, მოვიდა და დაჯდა ნადიმად და გასცა საბოძვარი, ან ვინც თავი მოიტანა და ვინც კარგათ ყოფილიყო მორჩა სეფი-ხან გაქცეული და ვინცა-ვინ მორჩათ, იმავ დღეს ფხვენის წავიდნენ“.

მომდევნო წელს ირანელები კვლავ მოადგნენ ბულბულისციხის ციხეს.

1737 წლის აპრილის გასულს „... კიდევ მოვიდა სეფი-ხან დიდის ჯარით ქართლში, მივიდა ქსნის ერისთავს შინ შეხედა, აიღეს ციხე იკორთისა, ციხე ვანათისა, ციხე კულბითისა, მიუხდნენ აბაშიძეს ვახუშტის, აიღეს ციხე ციხის-ძირისა და ციხე სურამისა“.

ბულბულისციხის მოპირდაპირე მხარეს სერზე გვხვდება მცირე ზომის **კოშკის** ნანგრევები. მხოლოდ ჩრდილოეთის კედელია შემორჩენილი 0,7 მეტრზე, დანარჩენი კედლების მხოლოდ ნაშთებიღაა მოჩანს.

კოშკი ოთხკუთხა ყოფილა (5,5X6,4 მ.). ნაგებია სიპი ქვითა და დუღაბით, კედლის სისქე 1,3 მეტრია.

კოშკი სათვალთვალო უნდა ყოფილიყო. აქედან კარგად ჩანს თავად ბულბულისციხის ციხე, მისი შემოგარენი მთლიანად.

სამხრეთ საქართველოსაკენ, გარდა ბორჯომის ხეობისა, გზა მიემართებოდა მდინარე ძამის ხეობაზეც.

ძამის ხეობის დიდი ნაწილი ქარელის რაიონის ტერიტორიაზეა, მხოლოდ მცირე ნაწილი, - მისი ზემო წელი, - არის ხაშურის რაიონის შემადგენლობაში. სათიბებისა და ბნელეთის წყლები ქმნიან ნასოფლარ ძამასთან ძამის წყალს, რომელსაც შემდეგ უერთდება სათერძის წყალი, ხოლო გვერძინეთთან - აბუხალოს წყალი. ქვემოთ, სოფელ ზღუდერთან ერთვის იმერხევის (ღვანანას) წყალი და შემდეგ ქარელთან ახლოს ერთვის მდინარე მტკვარს.

გზა, რომელიც ძამის წყალს მიუყვება, სოფ. გვერძინეთთან იშლება. აქედან ერთი გზა მიემართება აბუხალოსაკენ, საიდანაც გადავდივართ გუჯარეთში. მეორე გზით შევდივართ მუხილეთში, საიდანაც შემდეგ მოხვედრა შეიძლება ატენის ხეობაში, ხოლო მესამე გზა გვერძინეთიდან შედის ციხიგვერდში, გაივლის ნასოფლარ ძამას, სათიბებს და გადავდივართ გუჯარეთში, ისტორიულ თორში.

ამ გზას, საციციანოდან ძამის ხეობით გუჯარეთისაკენ, ადრე ფეოდალური ხანიდან იცნობს ქართული საისტორიო მწერლობა და არაერთი მოვლენაა დაკავშირებული მასთან.

ამ გზას იცნობს ვახუშტი ბატონიშვილიც. ძამის ხეობის აღწერისას ვახუშტი აღნიშნავს, რომ „...გვეძინეთის დასავლით მოერთვის ხევი აბუხალოსი... აქედან გარდავალს გზა გუჯარეთს რაჭის ხევზედ. აბუხალოს დასავლით გარდავალს გზა გუჯარეთს“.

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით 1695 წელს „...წარმოავლინეს ქაიხოსრო ლოპინა (ციციშვილი) სპითა. ამან გარდმოვლო მთა თორისა გუჯარეთსა ზედა და დადგა გვეძინეთს“. ამის გამგო

ძამის ხეობას იცავდა სამი დიდი ციხე: ძამის სათავესთან ძამის ციხე, შუა წელთან მძოვრეთისა (ორთუბნის) და მტკვართან, შესართავთან სამწევრისის ციხე. ხეობაში გვხვდება არაერთი კოშკი.

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

დანახარულის ვაზი დაუბრუნდა მშობლიურ მიწას

თეიმურაზ ღლონტი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, მევენახეობისა და მეღვინეობის საერთაშორისო აკადემიის წევრი, ალავერდის მონასტრის მარნის მთავარი მეღვინე ამ ორი წლის წინ შევახვედრეთ ჩვენს მკითხველს. ამ საოცარ პიროვნებას და ჭეშმარიტ მამულიშვილს მართლაც უდიდესი ღვაწლი აქვს გაწეული სამშობლოს წინაშე. მხოლოდ ქვევრის ღვინის გადარჩენა რად ღირს, რომელსაც კომუნისტურ ეპოქაში დაუნდობლად ებრძოდნენ და რომ არა მისი და მისი თანამოაზრეების დაუღალავი ბრძოლა, მსოფლიო არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში ქვევრის ღვინო ალბათ არც იქნებოდა. ბატონი თეიმურაზი ყოველ ზაფხულს ხაშურში ატარებს მშობლიურ სახლში, და რაც ძალიან გვახარებს, მუდმივად ურთიერთობს ჩვენს რედაქციასთან. ამჯერადაც საინტერესო მასალა მოგვაწოდა ქართლის უნიკალურ ჯიშთან „დანახარულთან“ დაკავშირებით, რომელსაც დღეს მკითხველს ვთავაზობთ. იმედია, ბატონი თეიმურაზის მცდელობა უკვალოდ არ ჩაივლის და ეს ჯიში, ასწლეულის შემდეგ, ისევ დაუბრუნდება ქართლის მადლიან მიწას.

დანახარული ქართლის ვაზის ჯიშთა შორის ერთ-ერთი პოპულარული და საინტერესო, ქართლის ყველა ხეობაში გავრცელებული წითელი ღვინის მომცემ ჯიშად მოიხსენიებოდა XX საუკუნის 20-30-იან წლებამდე. ამის შესახებ გვაუწყებს პროფესორი კონსტანტინე მოდებაძე.

სამწუხაროდ, მავნებელ დაავადებათა და მიზეზთა სხვათა გამო, დანახარულის ვაზის ფართობები თანდათან შემცირდა და მისი ადგილი შემოტანილმა პირდაპირ მწარმოებელმა ჰიბრიდულმა ფორმებმა დაიკავა, აღნიშნულმა მოვლენამ, ერთგვარად, გააფერმკრთალა ერთ დროს ცნობილი და მდიდარი ქართლის ღვინის ასორტიმენტი.. სამაგალითოდ გავიხსენოთ ივანე ბაგრატიონ მუხრანელის მეურნეობა, სადაც ათი მარკის (5 თეთრი, 5 წითელი) საუკეთესო ღვინოები დგებოდა, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს 1895 წლის 10 მარტს იალტაში, ნიკიტსკის საბაღოსნო და სამეღვინეო ლაბორატორიაში ჩატარებულ დეგუსტაციაში. ყირიმულ, ფრანგულ (ბურგუნდიული) და გერმანული (რეინის) ღვინოებთან ერთად აქ წარმოადგენილმა წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლის, მღვდელ გიორგი ასათიანის და ივანე ბაგრატიონ-მუხრანელის ღვინოებმა მაღალი შეფასება დაიმსახურა. განსაკუთრებით, თავი გამოიჩინა ივანე ბაგრატიონ-მუხრანელის ღვინოებმა „მუხრანელმა“ და „დიღმურმა“, რომლებსაც უმაღლესი შეფასება 4,5 და 5 ბალი მიიღო.

სამწუხაროდ, დანახარულის ვაზის ჯიში (აგრობიოლოგიურ და სამეურნეო-ტექნოლოგიურ მახასიათებლების აღწერით) 1954 წლის ნ. კეცხოველის, დ. ტაბიძის და მ. რამიშვილის მიერ გამოცემულ საქართველოს ამპელიოგრაფიაში ვერ მოხვდა. როგორც ჩანს, დანახარულისადმი ინტერესი საგრძნობლად შენელებული იყო და მომდევნო ათეულ წლებში სავსებით გაქრა.

XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან განვითარებულმა მოვლენებმა საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობა ურთულესი პრობლემების წინაშე დააყენა. განადგურდა ვაზის ქართული გენოფონდის ამსახველი საკოლექციო ნაკვეთები, ხოლო მეღვინეობის საწარმოებში ქვევრები მიწით ამოავსეს.

ჩვენი დაინტერესება დანახარულით დაიწყო ჯერ კიდევ იმ დღიდან, როცა საქართველოს ამპელოგრაფიაში ამოვიკითხე მითითება ქართული დანახარულის ვაზის ჯიშის გავრცელების შესახებ. მივმართე პროფესორ რევაზ რამიშვილს, რომელმაც განაცხადა დანახარულის ნერგს ვერსად მოიპოვებ, დაკარგულიაო.

2006-2008 წლებში იალტასა და კიშინოვში მივლინებულმა საქართველოს მებაღეობა-მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტის მევენახეებმა იქ შემონახული ვაზის საერთაშორისო კოლექციებში მოიპოვეს ვაზის 137 ენდემური ქართული ჯიში, რომლებიც საქართველოში აღარ გვქონდა. დაკარგულ ჩვენს ჯიშებს შორის აღმოჩნდა დანახარული და კახური მცვივანაც.

მოლდაველმა მასპინძლებმა ქართველ მევენახეებს გადმოსცეს ქართული ვაზის ჯიშების საკვირტე მასალა, მათ შორის, დანახარულისა და სიურპრიზიც მოუწყეს, გამოუტანეს მის ყურძნისგან დაყენებული ღვინო, გაასინჯეს და ისიც დააყოლეს „თქვენ არ იცით, რა საგანძურის პატრონები ხართ. ეს ღვინო ჩვენი სიამაყეაო“.

ასე და ამგვარად, დაკარგულად მიჩნეულმა 137 ქართულმა აბორიგენულმა ჯიშმა ბინა დაიდო ჯიღაურას ვაზისა და ხეხილის ნერგის წარმოების ეროვნული ცენტრის კოლექციაში, დაუბრუნდა მშობლიურ მიწას.

დანახარულის ნერგი შევიძინეთ და ხაშურში, ზურაბ ღლონტთან ერთად, საკარმიდამო ნაკვეთზე დავრგეთ. აგრეთვე გადავეცით რამდენიმე მოსახლეს. გაოცებული ვიყავით, არავინ არაფერი არ იცოდა დანახარულის ჯიშის შესახებ. შესაძლოა, ვინმეს საკარმიდამო ნაკვეთზე დანახარული ერთეული ძირების სახით ჰქონდა, მაგრამ მისი სახელი არ იცოდა. სავარაუდოა, რომ დანახარულის ჯიში ეცოდინებოდა ჩვენს წინა თაობას. სასიხარულოა, ის, რომ ხაშურელთა შორის დიდი ინტერესი გამოიწვია დანახარულმა.

ამ გაზაფხულზე რამდენიმე ოჯახმა შეიძინა დანახარულის ნერგი და საკარმიდამო ნაკვეთზე დარგო.

დანახარული ძლიერი ზრდის და უხვმოსავლიანი ვაზია. სიმწიფეში შედის სექტემბრის ბოლოს ან ოქტომბრის პირველ ნახევარში. მტევნის წონა 140 გრამიდან 400 გრამამდე აღწევს. საჰექტარო მოსავლიანობა 12-14 ტონაა.

მაშ, ასე, დანახარულმა ფეხი აიდგა მშობლიურ მიწაზე, გზა დავულოცოთ!

"დანერგე მომავალი" ახალ პროექტებს გთავაზობთ

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ინიცირებული პროგრამა „დანერგე მომავალი“ 2015 წლიდან წარმატებით მიმდინარეობს. დღესდღეობით კი აღნიშნულ პროექტს სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო ახორციელებს.

პროექტი მიზნად ისახავს საქართველოში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწების ეფექტურ გამოყენებას მრავალწლოვანი კულტურების გაშენების გზით, რის შედეგადაც განხორციელდება იმპორტირებული პროდუქციის ჩანაცვლება და გაიზრდება საექსპორტო პოტენციალი, გაადვილდება გადამამუშავებელი საწარმოების ნედლეულით უზრუნველყოფის შესაძლებლობა და გაუმჯობესდება სოფლად მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, აგრეთვე ადგილობრივი მაღალხარისხიანი, ფიტოსანიტარულად სუფთა სარგავი მასალების (ნერგების) წარმოების მხარდაჭერას, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდება თანამედროვე ინტენსიური ბაღების გაშენებით დაინტერესებული პირებისათვის, იმპორტირებულთან შედარებით, იაფი სარგავი მასალების შეთავაზება. ყოველივე ეს, ხელს შეუწყობს საქართველოში ახალი ბაღების გაშენებას და მეხილეობის სექტორის რაოდენობრივ და თვისობრივ გაუმჯობესებას.

ამჟამად, „დანერგე მომავალი“ ორ ძირითად კომპონენტის დაფინანსება მიმდინარეობს: ბაღების და კენკროვანი კულტურების დაფინანსების კომპონენტი. ბაღების კომპონენტის ფარგლებში დაფინანსდება შესაძენი ნერგების ღირებულების არაუმეტეს 70%, ხოლო სასოფლო-სამეურნეო სტატუსის მქონე კოოპერატივების, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებისა და მაღალმთიანი დასახლებების შემთხვევაში არაუმეტეს 80%, როგორც ნერგების ადგილობრივ ბაზარზე შეძენისას, ასევე მათი იმპორტის შემთხვევაშიც, ამავდროულად დადგენილია თითოეულ ნერგზე თანადაფინანსების მაქსიმალური მოცულობა. ბაღების კომპონენტის ფარგლებში დაფინანსდება სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე წვეთოვანი სარწყავი სისტემის მოწყობის ღირებულების 50% (დღგ - ს ჩათვლით), მაგრამ არაუმეტეს 1 250 ლარისა 0,5 ჰა-ზე, ხოლო სასოფლო-სამეურნეო სტატუსის მქონე კოოპერატივების, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებისა და მაღალმთიანი დასახლებების შემთხვევაში - არაუმეტეს 60%-ის ოდენობით, მაგრამ არა უმეტეს 1 500 ლარისა 0,5 ჰა-ზე. „კენკროვანი კულტურების დაფინანსების ქვეკომპონენტი“ ითვალისწინებს კენკროვანი კულტურის ბაღის გაშენებისათვის საჭირო ნერგების, წვეთოვანი სარწყავი სისტემის და სხვა საჭირო მასალების შეძენისა და მოწყობის ღირებულების 100% დაფინანსებას 0.15 ჰა-დან 0.5 ჰა-ს ჩათვლით სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობზე.

სააგენტოს მიერ განისაზღვრა „კენკროვანი ქვეკომპონენტი“-ს პროგრამაში განცხადებების მიღების ვადები. პირველადი განაცხადების მიღების ვადად განისაზღვრა 2020 წლის პირველი ივნისიდან 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდი, წლიდან წლამდე მატულობს რიცხვი პროგრამაში ჩართვის მსურველებისა. იზრდება სანდოობა პროექტის მიმართ. წინასწარი პროგნოზის მიხედვით წელს ხაშურში ბენეფიციარების განსაკუთრებულ აქტივობას უნდა ველოდოთ. პროგრამის პირობების და წესების შესახებ სრული ინფორმაციის მისაღებად უნდა მიმართოთ სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს ხაშურის საინფორმაციო საკონსულტაციო ცენტრს.

რიკოთის შემდეგ, თუ სურვილთა გახსნი ბარათებს, სურამთან ერთად თრიალეთი შემოგანათებს.

ნ. კიკაძის ფოტო

კონკურს-ფესტივალი „ნარინჯისფერი ქობულეთი-2020“ გაიხსნა

– ხაშურის თოჯინების თეატრი – აღიარების მოლოდინში

ხელოვნების ყოველწლიური ფესტივალი, რომელსაც ტრადიციულად ქობულეთი მასპინძლობს, ოფიციალურად გაიხსნა. კონკურსში, ისევე, როგორც წინა წლებში, ხაშურის თოჯინების თეატრიც

მონაწილეობს. აღსანიშნავია, რომ ჩვენი თეატრი ამ ფესტივალის არაერთგზის ლაურეატია. ფესტივალის ჩატარება კორონავირუსის მსოფლიო პანდემიის გამო, საფრთხის ქვეშ იყო, მაგრამ ორგანიზატორებმა, ჯანდაცვის მუშაკთა და მთავრობის რეკომენდაციებსა და რეგულაციების სრული დაცვით, მოახერხეს მისი გამართვა.

ხაშურის თოჯინების თეატრი უკვე წარსდგა მაყურებლის წინაშე. ი. ტიკარაძის “მხიარული კარუსელით”, რომელმაც დამსწრეთა მოწონება დაიმსახურა. საფესტივალო პროგრამას სპეციალური ჟიური აფასებს. ჩვენი თეატრის მიერ წარმოდგენილი სპექტაკლის შემდეგ გამართული ოვაციები, იმედია, იმის დასტური იქნება, რომ ჟიური ხაშურის თოჯინების თეატრს გამარჯვებულთა შორის დაასახელებს.

P.S. გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილი იყო, როდესაც ქობულეთიდან სასიხარულო ცნობა მივიღეთ; ხაშურის თოჯინების თეატრი კონკურსის გრან-პრის მფლობელი გახდა.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.